11518/3-77/21 2 19112021

11518/3-77/21
19-11-2021

საქართველოს ეროვნულ ბანკს

მოგესალმებით,

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №37/04 ბრძანებით, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ ვალუტის გადამცვლელი პუნტის საოპერაციო ფართში ხორციელდება ნაღდი ფულის გადაცვლის ოპერაციებისგან განსხვავებული ნებისმიერი სხვა სამეწარმეო საქმიანობა, პუნქტს უუქმდება რეგისტრაცია.

დღესდღეობით, ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ტურიზმზე ორიენტირებულ ეკონომიკებში, ვალუტის გადაცვლა შეიძლება ხორციელდებოდეს, სხვა სამეწარმეო საქმიანობასთან ერთად (სასტუმროში, მცირე მაღაზიებში და ა.შ.). ხომ არ დააზუსტებდით, რა გარემოებამ გააჩინა აღნიშნული შეზღუდვის საჭიროება და რა პრობლემის წინაშე შეიძლება დავდგეთ, თუ ეს შეზღუდვა მოიხსნება?

გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის I პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე I პუნქტის საფუძველზე, მოგვაწოდოთ ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე რაქვიაშვილი

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-08/3577

3577-08-2-202112011732

01/12/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ ალექსანდრე რაქვიაშვილს

ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N8,

საქართველოს პარლამენტის სასახლე

ტელეფონი: (995 32) 2281679

თქვენი2021 წლის 19 ნოემბრის
N 11518/3-77/21 წერილის პასუხად

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი ზემოაღნიშნული წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ვალუტის გადამცვლელი პუნქტები საოპერაციო საქმიანობას უნდა ახორციელებდნენ დამოუკიდებელ და იზოლირებულ ფართში, რათა დაცული იქნას როგორც მომხმარებლის ინტერესები და უსაფრთხოება, ისე ვალუტის გადაცვლასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ამ შეზღუდვის მოხსნის შემთხვევაში გაიზრდება საოპერაციო და უსაფრთხოების რისკები და დაზიანდება მომხმარებელთა ინტერესი. რაც შეეხება ტურისტულ ზონებს, საქართველოში ვალუტის გადამცვლელი პუნქტების არსებობა დაშვებულია ისეთი ობიექტების შიდა პერიმეტრზე არსებულ იზოლირებულ ფართში, როგორიცაა სავაჭრო ცენტრები, სასტუმროები, სამორინეები, აეროპორტები, რკინიგზის და ავტოსადგურები.

ასევე, გაცნობებთ, რომ დღეის მდგომარეობით, საქართველოს მასშტაბით ნაღდი ვალუტის გადაცვლის ოპერაციის განხორციელება შესაძლებელია 2000-ზე მეტ ლოკაციაზე. ამაში, გარდა თავად ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა, შედის ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფილიალები და სერვისცენტრები.

პატივისცემით,

კობა გვენეტაძე

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

0114 / თბილისი / სანაპიროს 2 / ტელ.: 2406 406, 2406 120/ ფაქსი: 2406 577/ ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge / კოდი: 20410484
2 Sanapiro str/ Tbilisi 0114/ Tel.: 2406 406, 2406 120/ Fax: 2406 577/ E-mail: info@nbg.gov.ge / code: 20410484
www.nbg.ge